940/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. აპრილის 25 № 6 თბილისი

შინაარსი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

23. რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ნუსხის დამატების შესახებ.

24. საქართველოს სსრ-ში ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციისა და დამზადების 1940 წლის გეგმის შესახებ.

25. ქალაქებსა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალური განყოფილებების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ.

ტიპიური დებულება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების კომუნალური მეურნეობის განყოფილებათა შესახებ.

ტიპიური დებულება მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალურ განყოფილებათა შესახებ.

მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

23. რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ნუსხის დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ნუსხას (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 30, მუხ. 176; 1937 წ. № 4 მუე. 30; საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 9, მუხ. 41 და № 13 მუხ. 56) დაემატოს პუნქტი 21 შემდეგი შინაარსისა:

სახსრების წყარო	სახსრების დანიშნულება
მუხ. 21. სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიებში გამოცდების ჩატარების საფასური.	საკვალიფიკაციო კომისიების შესანახად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. მარტის 26. № 506.
თბილისი.

---

24. საქართველოს სსრ-ში ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციისა და დამზადების 1940 წლის გეგმის შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს 4 მარტის № 306 დადგენილებისა „1940 წლის მოსავლის ტექნიკური და სპეციალური კულტურების კონტრაქტაციის გეგმების შესახებ“, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში 1940 წლის მოსავლის ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის გეგმა 65.360 ცენტნერის რაოდენობით, აქედან კულტურების მიხედვით:

სოია	50.000	ცენტ.	აქედან	სახჯიშფონდის ხაზით	1000
არახისი . . .	14.280	„	„	„ „	2000
საზეთე სელი . .	1.080	„	„	„ „	—

და ეს გეგმა განაწილდეს რაიონების მიხედვით, თანახმად დანართისა № 1.

2. დამტკიცდეს რაიონების მიხედვით ერთ ჰექტარზე კონტრაქტაციის წესით ზეთოვანი კულტურების ჩაბარების ნორმები, თანახმად დანართისა № 2.

ნება დაერთოს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს, სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის მიერ დამტკიცების შემდეგ, მოახდინონ ერთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰექტარზე სოიას ჩაბარების ნორმების დიფერენციაცია ცალკეულ კოლმეურნეობებში კლიმატიური და ნიადაგობრივი პირობების მიხედვით, მაგრამ იმ ანგარიშით, რომ ჩაბარების საშუალო ნორმა შეესაბამებოდეს რაიონისათვის დამტკიცებულ საშუალო ნორმას.

3. დაევალოს აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს ათი დღის ვადაში მიაწოდონ ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის გეგმა კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებს.

4. ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაცია დაეკისროს საკავშირო გაერთიანება „იუგოზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას ახალქალაქის, ბორჩალოს, საგარეჯოს, ქუთაისის, წყალტუბოს, სამტრედიის, ზესტაფონის, ჭიათურის, აბაშის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ხობის, მახარაძის, ლანჩხუთის, ფოთის რაიონებსა და აჭარის ასს რესპუბლიკაში და ცეკავშირს („ზაგოტზერნოსთან“ სახელშეკრულებო საფუძვლებზე)—წალკის, ბოგდანოვკის, ყარაიის, წულუკიძის, ვანის, ბაღდათის, ჩხარის, საჩხერის, ორჯონიკიძის, ტყიბულის, გეგეჭკორის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს და ჩოხატაურის რაიონებში.

ჯიშიანი თესლის კონტრაქტაცია ბორჩალოს, საჩხერის, ქუთაისის, აბაშისა და ზუგდიდის რაიონების მეთესლეობის კოლმეურნეობებში დაეკისროს საქსახჯიშფონდის საქართველოს კანტორას.

5. შენარჩუნებულ იქნას 1940 წლისათვის ზეთოვანი კულტურების ხაზით კონტრაქტაციის 1939 წლის მომქმედი პირობები და წესი, დასამზადებელი ფასები, ჯილდო-წანამატები და ჩაბარების ვადები.

6. დაევალოს „იუგოზაგოტზერნოს“ საქართველოს კანტორას, ცეკავშირს და სახჯიშფონდს კონტრაქტაციის ჩასატარებლად მიავლინონ რაიონებში ცენტრალური აპარატის მუშაკები და არაუგვიანეს 1940 წლის 15 მაისისა დაამთავრონ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა დადება.

7. დაევალოს სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში 1940 წლის 25 მაისს მოახსენოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის შედეგები.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. მარტის 29. № 542.
თბილისი.

დანართი № 1

საქ. სსრ 1940 წლის ზეთოვანი კულტურების კონტრაქტაციის გეგმა (ცენტნერებში)

რაიონები	სოია		არაბისი		საზეთე სელი
	სულ	მათ შორის საქ-ჯიშების	სულ	მათ შორის საქ-ჯიშების	
აბალქალაქის	—	—	—	—	405
ბოგდანოვკის	—	—	—	—	351
წალკის	—	—	—	—	324
ყარაიის	—	—	375	—	—
ბორჩალოს	—	—	1000	60	—
საგარეჯოს	—	—	286	—	—
ქუთაისის	2500	700	2624	1500	—
წყალტუბოს	2500	—	544	—	—
სამტრედიის	4212	—	1000	—	—
წულუკიძის	2750	—	600	—	—
ვანის	1820	—	2356	—	—
ბაღდათის	1272	—	—	—	—
ზესტაფონის	2875	—	—	—	—
ჩხარის	2875	—	110	—	—
ჭიათურის	1512	—	—	—	—
საჩხერის	1560	50	—	—	—
ორჯონიკიძის	1200	—	—	—	—
ტყიბულის	561	—	—	—	—
აბაშის	5590	—	2044	130	—
ცხაკაიას	3250	—	1350	—	—
გეგეჭკორის	2875	—	391	—	—
ზუგდიდის	2444	250	1620	310	—
ხობის	2340	—	—	—	—
წალენჯიხის	600	—	—	—	—
ჩხოროწყუს	1200	—	—	—	—
მახარაძის	1750	—	—	—	—
ლანჩხუთის	2625	—	—	—	—
ჩოხატაურის	960	—	—	—	—
ფოთის	104	—	—	—	—
აჭარის ასსრ	625	—	—	—	—
სულ	50000	1000	14280	2000	1080

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

1940 წ. კონტრაქტაციის წესით ზეთოვანი კულტურების ჩაბარების ნორმები ერთ ჰექტარზე (ცენტნერებში)

რაიონები	სოია		არაბისი	საზეთე სელი	
	კოლმეურნეობები	ერთპირ. მეურნეობები	კოლმეურნეობები	კოლმეურნეობ.	ერთპირ. მეურნეობები
აბალქალაქის	—	—	—	0,9	1,1
ბოგდანოვკის	—	—	—	0,9	1,1
წალკის	—	—	—	0,9	1,1
ყარაიის	—	—	2,5	—	—
ბორჩალოს	—	—	2,5	—	—
საგარეჯოს	—	—	2,2	—	—
ქუთაისის	2,5	2,7	3,2	—	—
წყალტუბოს	2,5	2,7	3,2	—	—
სამტრედიის	2,6	2,9	2,5	—	—
წულუკიძის	2,5	2,7	2,4	—	—
ვანის	2,6	2,9	3,2	—	—
ბაღდათის	2,4	2,6	—	—	—
ზესტაფონის	2,5	2,7	—	—	—
ჩხარის	2,5	2,7	2,2	—	—
ჭიათურის	2,4	2,6	—	—	—
საჩხერის	2,4	2,6	—	—	—
ორჯონიკიძის	2,4	2,6	—	—	—
ტყიბულის	1,7	1,9	—	—	—
აბაშის	2,6	2,9	2,8	—	—
ცხაკაიას	2,5	2,7	2,7	—	—
გეგეჭკორის	2,5	2,7	2,3	—	—
ზუგდიდის	2,6	2,9	2,7	—	—
ხობის	2,6	2,9	—	—	—
წალენჯიხის	2,4	2,6	—	—	—
ჩხოროწყუს	2,4	2,6	—	—	—
მახარაძის	2,5	2,7	—	—	—
ლანჩხუთის	2,5	2,7	—	—	—
ჩოხატაურის	2,4	2,6	—	—	—
ფოთის	2,1	2,4	—	—	—
აჭარის ასსრ	2,5	2,7	—	—	—
საშუალო ჩაბარების ნორმები	2,5	2,7	2,8	0,9	1,1

ეროვნული ბიბლიოთეკა

25. ქალაქებსა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტების კომუნალური განყოფილებების ტიპიური დებულებების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს ქალაქების და რაიონების მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალური განყოფილებების ტიპიური დებულებები.

2. დაევალოს რაიონების და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტებს რომელთაც აქვთ კომუნალური განყოფილებები დაამუშაონ და დაამტკიცონ კომუნალური განყოფილების დებულება შესაბამისად დამტკიცებული ტიპიური დებულებისა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. **გ. სტურუა.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი **ი. რუხაძე.**

1940 წ. აპრილი 2. № 562.
თბილისი.

ტ ი პ ი უ რ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების კომუნალური მეურნეობის განყოფილებათა შესახებ.

1. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს კომუნალური მეურნეობის განყოფილება, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 104 მუხლის თანახმად, წარმოადგენს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ორგანოს და, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 106 მუხლის შესაბამისად, თავის საქმიანობაში ემორჩილება, როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს, აგრეთვე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის სსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ავტონომიური რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას.

2. ქალაქ თბილისის, ქუთაისისა და ფოთის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების კომუნალური მეურნეობის განყოფილებანი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 107 მუხლის საფუძველზე, თავის საქმიანობაში ემორჩილებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს.

3. ქალაქ სოხუმის, ბათუმისა და სტალინირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების კომუნალური მეურნეობის განყოფილებანი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 108, 109 და 110 მუხლების საფუძველზე, თავის საქმიანობაში ემორჩილებიან როგორც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, ისე აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას კუთვნილებისამებრ.

4. კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილების სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ნიშნავს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და ამტკიცებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი ან აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე.

5. კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილების გამგეობაში შედის:

ა) ქალაქის გადაღება, დაგეგმვა, განაშენიანებათა რეგულირება და ქალაქის არქიტექტურული გაფორმება;

ბ) ქალაქის მიწების გამოყენების მოწესრიგება, მიწის ნაკვეთების გამოყოფა, მიწების რეგისტრაცია;

გ) გეოდეზიური გადაღების ნებართვის გაცემა და კონტროლის გაწევა ამ გადაღებისათვის იმ შემთხვევებში, როდესაც ამას სხვა ორგანოები ეწევიან გეოდეზიური ნიშნების დაცვა და გეოდეზიური მასალების შენახვა;

დ) ადგილობრივი საბჭოს გამგეობაში არსებული საბინაო ფონდის მართვა-გამგეობა და სანიტარული ზედამხედველობა, აგრეთვე მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევა მთელი დანარჩენი საბინაო ფონდის შენახვისა და რემონტისათვის;

ე) წყლის მიწოდებისა და კანალიზაციის ნაგებობათა მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლოატაცია; ჩამდინარე წყლების გასუფთავება, გაუვნებლება და მოშორება, წყლის მიწოდების წყაროების დაცვა;

ვ) ელექტროსადგურების, საერთო სარგებლობის ელექტრონის, გაზისა და თბო ქსელების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლოატაცია; ავარიებთან ბრძოლა ელექტროსადგურებსა და ქსელებში;

ზ) საქალაქო სამგზავრო ელექტროტრანსპორტის (ტრამვაი, ტროლეიბუსი) მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლოატაცია და საგარეუბნო ადგილებისათვის მომსახურეობის გაწევა საქალაქო ელექტროტრანსპორტით;

თ) ქვაფენილების, ტროტუარების, ხიდების, სანაპიროების, ღვარსადენი კანალიზაციის, წყალჩასადენებისა და სხვ. მოწყობა, გაუმჯობესება, რემონტი და

შენახვა, ქვაფენილებისა და ტროტუარების გათხრის რეგულირება მიწისქვეშა ნაგებობათა მოწყობისა და რემონტის დროს;

ი) სასტუმროების, აბანოების, საპარიკმახეროებისა და საერთო სარგებლობის სამრეცხაოების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლოატაცია;

კ) ქალაქის კეთილმოწყობა (გასუფთავება, გამწვანება, ქუჩის განათება, სარეკლამო საქმე);

ლ) საქალაქო სასაფლაოებისა და კრემატორიუმების მოწყობა და შენახვა, დამკრძალავი ბიუროების ორგანიზაცია.

6. მე-5 მუხლში აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილებას ეკისრება:

ა) საბინაო, კომუნალური მეურნეობისა და მშენებლობის ნაკრები გეგმების შედგენა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსა და ზემდგომი კომუნალური ორგანოებისათვის წარდგენა;

ბ) ნაკრები საფინანსო გეგმის, აგრეთვე საბინაო-კომუნალური მეურნეობის საქალაქო ბიუჯეტის მიხედვით შემოსავლისა და გასავლის საკონტროლო ციფრების შედგენა და დასამტკიცებლად წარდგენა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოებისათვის;

გ) საქალაქო კომუნალური განყოფილებისადმი დაქვემდებარებულ კომუნალურ საწარმოთა და სამეურნეო ანგარიშის სხვა ორგანიზაციათა საწარმოო-საფინანსო გეგმების განხილვა და დასამტკიცებლად წარდგენა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსათვის; კომუნალური მომსახურეობის ტარიფების შემუშავება და მათი წარდგენა დასამტკიცებლად საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის;

დ) კაპიტალური და საგეგმო-გამაფრთხილებელი რემონტის ნაკრები გეგმების შედგენა და დასამტკიცებლად წარდგენა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსათვის; ამ გეგმების განხორციელებისათვის ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა:

ე) საბინაო-კომუნალური მეურნეობის ძირითადი ფონდების ტექნიკური აღრიცხვა (ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია) ქალაქის ფარგლებში;

ვ) კომუნალური მეურნეობის მდგომარეობისა და საქალაქო კომუნალური განყოფილებისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და საწარმოთა საქმიანობის შესახებ სტატისტიკური ცნობების შეკრება და დამუშავება და სტატისტიკური ცნობების წარდგენა ზემდგომი კომუნალური ორგანოებისა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სათანადო ორგანოებისათვის;

ზ) საბუხჰალტრო აღრიცხვისა და ანგარიშების ხელმძღვანელობა ქალაქის საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში;

თ) საქალაქო კომუნალურ საწარმოთა წლიური ბალანსებისა და ანგარიშების განხილვა და მათი წარდგენა დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსათვის;

ი) ანგარიშების შედგენა თავისი მოქმედების შესახებ და მათი წარდგენა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოსა და ზემდგომი კომუნალური ორგანოებისათვის;

კ) სტახანოური მოძრაობის განვითარების ხელმძღვანელობა, ქალაქის საბინაო და კომუნალური მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სტახანოური მუშაობის საუკეთესო გამოცდილების გადაცემის ორგანიზაცია და ისეთ ღონისძიებათა გატარება, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ამ საწარმოებში შრომის დაცვის და უშიშროების ტექნიკის გაუმჯობესებას.

ლ) კადრების მომზადების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი სწორად გამოყენების ღონისძიებათა გატარება;

მ) საბინაო და კომუნალური მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა ტექნიკური და მატერიალური მომარაგების, ექსპლოატაციისა და მშენებლობის უზრუნველყოფა; ნედლეულის, მასალების, მოწყობილობის, სათბობის გამოყოფილი ფონდების განაწილება ცალკეულ ობიექტების შორის ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, კონტროლის გაწევა იმისათვის, რომ ფონდები დანიშნულებისამებრ იხარჯებოდეს.

7. კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილების გამგე გამოსცემს ბრძანებებს და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებისა და მთავრობის დადგენილებათა, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის, ასსრ-ის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის ბრძანებათა, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილების ბრძანებათა და ინსტრუქციათა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად.

კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილების გამგის ბრძანებები და ინსტრუქციები სავალდებულოა საბინაო-კომუნალური მეურნეობის ყველა იმ საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ემორჩილებიან.

8. კომუნილური მეურნეობის საქალაქო განყოფილების გამგე მშრომელთა დეპუტატესის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დამტკიცებით დანიშნავს და მოხსნის საქალაქო კომუნალურ საწარმოთა სამეურნეო და ტექნიკურ ხელმძღვანელებს, გარდა წყლის მიწოდებისა და კანალიზაციის იმ საქალაქო ტრესტის დირექტორებისა და მთავარ ინჟინერებისა, სადაც ძირითადი სახსრების ღირებულება ერთ მილიონ მანეთს აღემატება, და იმ კომუნალური ელექტროსადგურების დირექტორებისა და მთავარი ინჟინრებისა, რომელთა სიმძლავრე 250 კილოვატს აღემატება, რომლებსაც დანიშნავს და სამუშაოდან გაანთავისუფლებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი, აგრეთვე რაიონული დაყოფის მქონე ქალაქებში დაამტკიცებს კომუნალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის რაიონულ განყოფილებათა გამგეებს, რომლებიც რაიონული საბჭოების მიერ არიან დანიშნული, ან მათ თანაბარ თანამდებობის პირებს.

9. კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილების შემადგენლობაში იქმნება:

1. საბინაო სამმართველო.
2. მთავარი არქიტექტორის სამმართველო და შემდეგი სექტორები:
1. წყალსადენისა და კანალიზაციის სექტორი.
2. ენერგეტიკის სექტორი.
3. საქალაქო ელექტროტრანსპორტის სექტორი.
4. გზების, ხიდებისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სექტორი.
5. კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურეობის საწარმოთა სექტორი.
6. კეთილმოწყობის სექტორი.
7. სამიწათმოქმედო მეურნეობის სექტორი.
8. ქალაქის დასუფთავების სექტორი.
9. საგეგმო-საალრიცხვო სექტორი.
10. კადრების აღრიცხვისა და მომზადების სექტორი.
11. სპეცსექტორი.
12. ადმინისტრატიულ-სამეურნეო სექტორი.
13. მთავარი ბუხჰალტერია.
14. ინვენტარიზაციის ბიურო.

იმ შემთხვევაში, თუ ქალაქის კომუნალური მეურნეობის ცალკეული დარგები მცირე მოცულობისაა, ცალკეული სექტორების ორგანიზაციის ნაცვლად, კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილების შტატში, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, შეიძლება გათვალისწინებულ იქნას მეურნეობის ამა თუ იმ დარგის 1—2 სპეციალისტი ანდა ერთი სპეციალისტის ხელში გაერთიანდეს მეურნეობის რამდენიმე მომიჯნავე დარგი.

10. კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილება უშუალოდ განაგებს მისდამი დაქვემდებარებულ კომუნალურ ტრესტებს, დამხმარე საწარმოებსა და მეურნეობებს.

ახალ კომუნალურ ტრესტებს, დამხმარე საწარმოებსა და მეურნეობებს ჰქმნის კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილება საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის, ასსრ-ის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატის ან ავტონომიურ ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილების მითითებათა შესაბამისად და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით.

11. კომუნალური მეურნეობის სტახანოველთა და დამკვრელთა გამოცდილების ყოველმხრივ გამოყენების, აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის მიზნით, კომუნალური მეურნეობის საქალაქო განყოფილება რეგულიარუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად იწვევს სამეურნეო აქტივებს, რომლებზედაც განიხილავენ პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დადგენილებებს საბინაო და კომუნალური მეურნეობის საკითხებზე, აგრეთვე ქალაქის საბინაო და კომუნალური მეურნეობის განყოფილების, ორგანიზაციებისა და საწარმოების პრაქტიკული მუშაობის შედეგებს.

ტ ი პ ი უ რ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების კომუნალურ განყოფილებათა შესახებ.

1. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების კომუნალურ განყოფილებებს, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 102 მუხლის თანახმად, ჰქმნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოები რაიონის მეურნეობის თავისებურებათა შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დამტკიცებით და ეს განყოფილებანი წარმოადგენენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ორგანოებს.

2. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს კომუნალური განყოფილება, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 105 მუხლის შესაბამისად, თავის საქმიანობაში ემორჩილება მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს, აგრეთვე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს, ხოლო აფხაზეთის და აჭარის ასსრ-ში და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში—ავტონომიური რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატს ან ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილებას.

3. რაიონული კომუნალური განყოფილების სათავეში სდგას გამგე, რომელსაც ნიშნავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი და ამტკიცებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი ან აფხაზეთისა და აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარი და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე, კუთვნილებისამებრ.

4. რაიონული კომუნალური განყოფილება განაგებს საქმიანობას შემდეგ დარგებს რაიონული ცენტრების, საქალაქო ტიპის დასახლებული ადგილების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების იმ საკურორტო და საგარაკო დასახლებული ადგილების ტერიტორიაზე, რომლებიც რაიონის შემადგენლობაში შედიან:

ა) დასახლებული ადგილის გადაღება, დაგეგმვა, განაშენიანების რეგულირება და არქიტექტურული გაფორმება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მიწების გამოყენების მოწესრიგება; მიწის ნაკვეთების გაშოყოფა; მიწების რეგისტრაცია;

გ) გეოდეზიური გადაღების ნებართვის გაცემა და კონტროლის გაწევა ამ გადაღებისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც ამას სხვა ორგანოები ეწევიან, გეოდეზიური ნიშნების დაცვა და გეოდეზიური მასალების შენახვა;

დ) ადგილობრივი საბჭოს გამგებლობაში არსებული საბინაო ფონდის მართვა-გამგეობა და სანიტარული ზედამხედველობა, აგრეთვე მთელი დანარჩენი საბინაო ფონდის შენახვისა და რემონტისათვის მეთვალყურეობისა და კონტროლის გაწევა;

ე) წყლის მიწოდებისა და კანალიზაციის ნაგებობათა მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლოატაცია, ჩამდინარე წყლების გასუფთავება, გაუვნებლება და მოშორება, წყლის მიწოდების წყაროების დაცვა;

ვ) კომუნალური ელექტროსადგურების, საერთო სარგებლობის ელექტროენის ქსელების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლოატაცია; ავარიებთან ბრძოლა ელექტროსადგურებსა და ქსელებში;

ზ) ქვაფენილების, ტროტუარების, ხიდების, სანაპიროების, ღვარსადენი კანალიზაციის, წყალჩასადენებისა და სხვ. მოწყობა, გაუმჯობესება, რემონტი და შენახვა; ქვაფენილებისა და ტროტუარების გათხრის რეგულირება მიწისქვეშა ნაგებობათა მოწყობისა და რემონტის დროს;

თ) სასტუმროების, აბანოების, საპარიკმახეროებისა და საერთო სარგებლობის სამრეცხაოების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და ექსპლოატაცია;

ი) კეთილმოწყობა (გასუფთავება, გამწვანება, ქუჩების განათება, სარეკლამო საქმე);

კ) სასაფლაოების მოწყობა და შენახვა, დამკრძალავი ბიუროების ორგანიზაცია.

5. რაიონული კომუნალური განყოფილება განაგებს ამ დებულების მე-4 მუხლში ჩამოთვლილ დარგების საქმიანობას:

ა) რაიონულ ცენტრებში—უშუალოდ;

ბ) ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საკუროორტო და საანგარაკო დასახლებულ ადგილებში—მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისადმი ხელმძღვანელობის განხორციელების საფუძველზე.

6. მე-4 მუხლში აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად რაიონულ კომუნალურ განყოფილებას ეკისრება:

ა) საბინაო და კომუნალური მეურნეობის და მშენებლობის ნაკრები გეგმების შედგენა და მათი წარდგენა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოებისა და ზემდგომი კომუნალური ორგანოებისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საბინაო-კომუნალური მეურნეობის ნაკრები საფინანსო გეგმის, აგრეთვე რაიონული ბიუჯეტით შემოსავალ-გასავლის საკონტროლო ციფრების შედგენა და მათი წარდგენა დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოსათვის;

გ) რაიონული კომუნალური განყოფილებისადმი დაქვემდებარებულ კომუნალურ საწარმოთა და სამეურნეო ანგარიშის სხვა საწარმოთა საწარმოო-საფინანსო გეგმების განხილვა და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა; კომუნალური მომსახურეობის ტარიფების შემუშავება და მათი წარდგენა დასამტკიცებლად რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისათვის;

დ) კაპიტალური და საგეგმო-გამაფრთხილებელი რემონტის ნაკრები გეგმების შედგენა, მათი წარდგენა დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოსათვის; ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა ამ გეგმების განხორციელებისათვის;

ე) საბინაო-კომუნალური მეურნეობის ძირითადი ფონდების ტექნიკური აღრიცხვა (ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია);

ვ) კომუნალური მეურნეობის მდგომარეობისა და რაიონული კომუნალური განყოფილებისადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და საწარმოთა საქმიანობის შესახები სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და დამუშავება და სტატისტიკური ცნობების წარდგენა ზემდგომი კომუნალური ორგანოებისა და სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სათანადო ორგანოებისათვის;

ზ) საბუხჰალტერო აღრიცხვისა და ანგარიშგების ხელმძღვანელობა რაიონის საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში;

თ) რაიონულ კომუნალურ საწარმოთა წლიური ბალანსებისა და ანგარიშების განხილვა და მათი წარდგენა დასამტკიცებლად მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოსათვის;

ი) თავისი საქმიანობის შესახები ანგარიშების შედგენა და მათი წარდგენა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოსა და ზემდგომი კომუნალური ორგანოებისათვის;

ე) სტახანოური მოძრაობის გაშლის ხელმძღვანელობა, რაიონის საბინაო და კომუნალური მეურნეობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში სტახანოური მუშაობის საუკეთესო გამოცდილების გადაცემის ორგანიზაცია, ამ საწარმოებში შრომის დაცვის ორგანიზაციის და უშიშროების ტექნიკის გაუმჯობესების ღონისძიებათა ჩატარება;

ლ) კადრების მომზადების, გადამზადების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და სწორად გამოყენების ღონისძიებათა გატარება;

მ) საბინაო და კომუნალური მეურნეობის საწარმოთა და ორგანიზაციათა ტექნიკური და მატერიალური მომარაგების, ექსპლოატაციისა და მშენებლობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზრუნველყოფა; ნედლეულის, მასალების, მოწყობილობის, სათბობის გამოყოფილი ფონდების განაწილება ცალკეული ობიექტების მიხედვით ზემდგომი ორგანოების მიერ დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, იმის კონტროლი, რომ ფონდები დანიშნულებისამებრ იქნას გამოყენებული.

7. რაიონული კომუნალური განყოფილების გამგე გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, მთავრობის დადგენილებათა, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის, ასსრ-ის კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისრის ბრძანებათა, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური მეურნეობის განყოფილების ბრძანებათა და ინსტრუქციათა, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და მათს შესასრულებლად.

კომუნალური მეურნეობის რაიონული განყოფილების გამგის ბრძანებები და ინსტრუქციები სავალდებულოა საბინაო-კომუნალური მეურნეობის ყველა საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, რომლებიც მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს ემორჩილებიან.

8. რაიონული კომუნალური განყოფილების გამგე მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის დამტკიცებით დანიშნავს და სამუშაოდან მოხსნის რაიონული ქვემდებარეობის კომუნალური საწარმოების სამეურნეო და ტექნიკურ ხელმძღვანელებს.

9. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომუნალური განყოფილება იქმნება შემდეგი შემადგენლობით:

1. კომუნალური განყოფილების გამგე,
2. მთავარი ინჟინერი,
3. პასუხისმგებელი შემსრულებელი საბინაო ფონდის ხაზით,
4. ეკონომისტი, იგივე სტატისტიკოსი,
5. ბუხჰალტერი,
6. საქმისმწარმოებელი-მემანქანე.

იმ რაიონებისათვის, რომლებსაც მცირე რაოდენობის კომუნალური საწარმოები აქვთ, მთავარი ინჟინერი ერთსადაიმავე დროს არის კომუნალური განყოფილების გამგე, ხოლო ბუხჰალტერს ეკისრება აგრეთვე ეკონომისტის სამუშაოს შესრულება.

10. რაიონული კომუნალური განყოფილება უშუალოდ განაგებს მისდამი დაქვემდებარებულ კომუნალურ ტრესტებსა და საწარმოებს და მათს დამხმარე მეურნეობებს.

ახალ კომუნალურ ტრესტებს, დამხმარე საწარმოებსა და მეურნეობებს ჰქმნის რაიონული კომუნალური განყოფილება საქართველოს სსრ კომუნალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობის სახალხო კომისარიატის მითითებების შესაბამისად და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით.

11. კომუნალური მეურნეობის სტახანოველთა და დამკვრელთა გამოცდილების ყოველმხრივ გამოყენების, აგრეთვე კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის მიზნით, კომუნალური მეურნეობის რაიონული განყოფილება რეგულარულად იწვევს სამეურნეო აქტივებს, რომლებიც განიხილავენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის მიერ საბინაო და კომუნალური მეურნეობის საკითხებზე მიღებულ უმნიშვნელოვანეს დადგენილებათა შესახებ, აგრეთვე განყოფილების, რაიონის საბინაო და კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციათა და საწარმოთა პრაქტიკული მუშაობის შედეგებს.

ბიბლიო

12305
ეროვნული ბიბლიოთეკა

П·575 /300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის

Сборник постановлений и приказов Правительства Груз ССР

ფასი 40 კაპ.

საქ. სსრ სახკომსაბჭოს გამომცემლობის სტამბა „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებულის № ბ—1721 შეკ. № 570 ტირაჟი 2000